სოფელ მელექედურში წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი გაიხსნა

19 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში იოანე ნათლისცემელის სახელობის ტაძარი გაიხსნა.

საზეიმო წირვა აღავლინა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იოსებმა.

ისტორიული ცნობებით, XVII საუკუნის მიწურულს მელექედურის ეკლესიაში მოღვაწეობდა მღვდელი გიორგი ჯაყელი, რომელმაც აღადგინა ეკლესია და მას შესწირა XVI-XVII საუკუნეებით დათარიღებული მარხვანი, ასევე ოთხთავი, სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი და ზატიკი. ჯაყელმა ტაძარი გიორგი გურიელის შემწეობით აგო. 1828 წლისთვის მელექედურში იდგა ასევე წმინდა გიორგის ხის ეკლესია, რომლის სამრევლო 33 კომლს აერთიანებდა.

იოანე ნათლისცემლის სახელობის ტაძარი საბჭოთა პერიოდში დაშალეს. რამდენიმე წლის წინ ადგილობრივმა ბიზნესმენმა კახა ხინთიბიძემ, რომელიც ქ. თბილისში სამშენებლო ბიზნესში მოღვაწეობს, აღადგინა აღნიშნული ტაძარი. კახა ხინთიბიძემ მოკრძალებული უარი განუცხადა მედიას კომენტარზე.

ტაძრის წინამძღვარი მამა ერმალაოსი (ჭელიძე) იქნება, ხოლო მღვდელი მამა თომა (ნიკოლაიშვილი), რომელიც აღნიშნულ ხარისხში გასულ ხუთშაბათს აკურთხეს.

როგორც ადგილობრივმა, სოფელ მელექედურს ყოფილმა გამგებელმა ლენა ქადეიშვილმა გვითხრა, იოანე ნათლისცემელის სახელობის ტაძარი გასული საუკუნის 30-იან წლებში დაშალეს. ქვები წაიღეს და ნასაკირალის დასახლებაში, რომელიც მელექედურს ეკუთვნოდა, საწყობი ააგეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფლის ახალგაზდებმა ეს ქვები უკან მოიტანეს და ეკლესიის ეზო შემოღობეს.

—ახალგაზრდებისათვის სულიერებაა უპირველესი. ამაზე დიდი საქმე რა უნდა გააკეთოს კაცმა?—გვითხრა მელექედურელმა გია ხმელიძემ.

ტაძარი ძველ საძირკველზეა აგებული. ეს არის სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე ასეული მლოცველის დატევა შეუძლია.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 8 (10345) 24 თებერვალი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

უკრაინის დელეგაცია გურიის ეკონომიკურ და ტურისტულ პოტენციალს ეცნობა

უკრაინის ხერსონის ოლქის გუბერნატორი იური გუსევი, გურიის სახელმწიფო რწმუნებულს ზურაბ ნასარაიას, მის მოადგილეს გია ებრალიძეს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრაზე ეკონომიკის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

დელეგაცია ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრს სტუმრობდა, სადაც ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტს დაესწრნენ. სახელმწიფო ანსამბლმა "გურიამ" ქართველი და უკრაინელი სტუმრების წინაშე ქართულ-უკრაინული კომპოზიცია წარმოადგინა, რომელმაც მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

იკითხეთ გაზეთი
„ალიონი"
საცალო ფასი – 60 თეთრი
ხელმოწერა:
6 თვით – 15 ლარი
ერთი წლით – 30 ლარი

მოსმენილი და მოწონებული ანგარიშები საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რიგგარეშე სხდომაზე 3 დღის განმავლობაში ისმენდა მერიის სამსახურების, ა(ა)იპ-ების და შპს-ების მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშებს. სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია უძღვებოდა.

ანგარიშების მოსმენისას საკრებულოსწევრები სვამდნენ შეკითხვებს, იყო კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები.

იყო ცალკეული სამსახურები და ა(ა) იპ-ები, რომელთა ანგარიშებისის წარმოდგენის შემდეგ საინტერესო დებატები იმართებოდა, ხოლო რამდენიმე ანგარიში თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ფორმალურად ჩაიარა. იყო ოპოზიციის ოპო-ნირებაც, თუმცა იყო დაპირისპირების მომენტებიც.

პირველი ანგარიში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა წარმოადგინა.

საკრებულოს წევრებმა მათ არა მარტო შეკითხვები დაუსვეს, კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებებიც შესთავაზეს: სამსახურის მიერ წლის შემაჯამებელი ანგარიში წარმოდგენილი იქნას სამსახურის დებულების შესაბამისად, რაც უფრო ცალსახად წარმოაჩენს ყველა შესრუ-ლებულ სამუშაოსა და ვალდებულებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში მოისმინა.

საკრებულოს წევრები სამსახურის მიერ გამოვლენილი მიგნებებითა და ძირითადი რეკომმენდაციებით დაინტერესდნენ. შეკითხვები დაისვა გაცემული რეკომენდაციების შესრულებულ მონიტორინგზე, აგრეთვე ინსპექტირების განყოფილების მიერ გაწეულ საქმიანობაზე.

ძალიან ბევრი კითხვა დაუსვეს მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსს **კობა ხაბალაშვილს.**

ლავრენტი ბიგვავასა და **გიორგი ღურჯუმელიძის** კითხვების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სამსახურებში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება სათანადოდ არ ხორციელდება, ა(ა) იპ-ების მიერ ბალანსები არაა წარმოდგენილი მუნიციპალიტ-ეტში; არაა შესრულებული პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნები და ა.შ.

ოპოზიციონერი დეპუტატის **ბესო ქათამაძის** კითხვას,იყო თუ არა მსგავსი ხარვეზები წინა წლებში და რეკომენდაციები თუ გაითვალისწინეს, კობა ხაბალაშვილმა დიპლომატიურად უპასუხა: –პირველ რიგში რეკომენდაციები შესრულებისთვის იწერება, იმავდროულად რეკომენდაციები უნდა იყოს შესრულებადი.

კობა ხაბალაშვილმა ერთ-ერთ კონკრეტულ რეკომენდაციაზე ისაუბრა:–შპს „სატისს" მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურიდან მიეცა რეკომენდაცია სოფლებიდან თანხების ამოღების შესახებ. ადგილობრივი მოსა-კრებელით 290 ათასი ლარის ამოღება შეიძლება, რომელიც შემდეგ სხვა პროექტებზე გა-

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

მოსმენილი და მოწონებული ანგარიშები საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

დაინაცვლებდა.

ლავრენტი ბიგვავას აზრით სოფლებში 3 000 აბონენტია, რომელთაგან წელიწადში 600 ათასი ლარის ამოღებაა შესაძლებელი.

საკრებულომ შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მუშაობა დადებითად შეაფასა.

საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობა განიხილა.ანგარიში სამსახურის უფროსმა **თემურ გიორგაძემ** წარმოადგინა.

2019 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 8 584 867 ლარი გამოიყო, რომლითაც მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა.

გასულ წელს მუნიციპალიტეტში მოასფალტდა 30675 გრძ.მეტრი გზა, ჯამური ღირებულებით 9 038 809 ლარი; სოფლებში კრიტიკულ მონაკვეთებზე ბეტონის საფარით მოეწყო 18329 გრძ.მეტრი გზა. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად ჩატარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის ღონისძიებები, შესრულდა სტიქიის პრევენციისთვის გამოყოფილი სამუშაოები, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა პროექტები. საქართველოს მთავრობის განკარგულებით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ამბულატორიებისა და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოეყო 1 164 118 ლარი.

სოფელ ასკანის მაჟორიტარ დეპუტატ ლევან ნინიძის აზრით სოფლად ბევრი პროექტი ხორციელდება, რის მაგალითია ასკანა-მზიანის და ასკანა- მთისპირის დამაკავშირებელი გზების პროექტები., თუმცა მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მუნიციპალიტეტიდან სოფლის სკოლებს.

სოფელ გურიანთის დამოუკიდებელი დეპუტატის **მაია ზოიძის** აზრით ყველა სოფელზე თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს შესრულებული სამუშაოების ოდენობა.

თემურ გიორგაძის სამსახურის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

საკრებულოს სხდომაზე ანგარიში წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრის უფროსმა **თენგიზ ქუტიძემ.**

მცირე ამონარიდი მოხსენებიდან:

ურეკი-შეკვეთილის 11 კილომეტრიან ზოლში მაისიდან აგვისტომდე 8 კაცის ნაცვლად 15 კაცი იმორიგეევებს. მიმდინარეობს ზღვაში ჩამდინარე მდინარეების გაწმენდა; ჰყავთ 8 ნაგავმზიდი, მუნიციპალიტეტში დგას 1273 ნაგვის ურნა; შარშან 10750 ტონა ნაგავი გაიტანეს.

„სერვისცენტრი“ ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 10038 ლამპიონს, საიდანაც ქალაქის ტერიტორიაზე 3125 ლამპიონი დგას.

მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით ქუტიძემ განმარტა, რომ სოფელ ოზურგეთსა და ბაილეთს შორის არის ძაღლების გამტარი თავშესაფარი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ერთი ძაღლის მომსახურებაზე კონკრეტულ ინდმეწარმეს თუ შპს-ს უხდის 120 ლარს: ხოლო თელავი –150 ლარს. შორს თუ არ წაიყვანეს ძაღლებს გამტარ თავშესაფარში, ფულს არ გადაუხდიან იმ რაოდენობით. ყოველივე ამაზე ცხოველთა დაცვის ფედერაცია - აკეთებს მონიტორინგს.

თენგიზ ქუტიძემ განაცხადა, რომ წელს ისინი 233 ათას ლარ მოსაკრებელს აკრეფენ.

ამის შემდეგ კითხვები სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით მჟავანაძემ დასვა „სერვისცენტრში“ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ძირითადად „სერვისცენტრში“ დასაქმებულ 46 სპეციალისტს ეხებოდა.

შეკითხვები ნაცმოძრაობის წევრ დეპუტატებსა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ გოჩა კილაძეს შორის კინკლაობაში გადაიზარდა., რამაც დისონანსი შეიტანა სხდომის მსვლელობაში.

საბოლოოდ „სერვისცენტრის“ მუშაობა დადებითად შეაფასეს.

საკრებულომ ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ცენტრის ხელმძღვანელის **რომან გოგიტაურის** ანგარიში მოისმინა.

ანგარიშში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ავტოტრანსპორტის პარკირებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ, რომელმაც 80 700 ლარი შეადგინა. გაჟღერდა ინფორმაცია, გადახდის სისტემაში პარკომატის დანერეგვის თაობაზე. საკრებულოს წევრებს პარკომატის აპარატიც წარუდგინეს და მისი ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, დაგეგმილია პარკირების ზონაში პარკომატების განთავსება, რომელიც ა(ა)იპ-ის მიერ შეთავაზებული დამატებითი სერვისი იქნება მოქალაქეებისათვის.

ამ ანგარიშის განხილვისას, დეპუტატმა დავით მჟავანაძემ სხდომის მონაწილეებს აჩვენა მის მიერ გადაღებული ფოტოები, სადაც ჩანს, რომ პარკირების ადგილზე მდგომ რამდენიმე ავტომანქანაზე არაა მიკრული გადახდის ქვითარი.

რომან გოგიტაურმა სთხოვა დეპუტატს, რომ ეჩვენებინა დაფიქსირებული დრო და რიცხვი...

შეფასების ნაწილში ყურადღება გამახვილდა არსებულ ხარვეზებზეც და გაიცა კონკრეტული რეკომენდაციებიც, მათ შორის შშმ პირებისთვის უფასო პარკირების ადგილის გამოყოფისშესახებ.

პარკირების მართვის ცენტრის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

ხსოვნა

ალა მელნიკ ურუშაძის გახსენება

შენ უკვე მარადიული სამყაროს ბინადარი ხარ, ჩვენ კი, ოზურგეთის №2 საბავშვო ბაღის თანამშრომლებს გვსურს, მოგაწვდინოთ ხმა ამ კოლექტივიდან, სადაც 2000 წლამდე მოღვაწეობდი. 30 წლის მანძილზე აფრთიანებდი მრავალ თაობას.

ყველას ახსოვს ლამაზი, დარბაისელი, მშვიდი, გაწონასწორებული, ყველა აღსაზრდელის საყვარელი ალა მასწავლებელი – მეგობრის, კოლეგების, დიდი ოჯახის ერთგული დასაყრდენი, დედა, და ბებია.

წახვედი და გულში სევდა და გულისტკენა დაგვიტოვე ყველას, ვინც გიცნობდა.

დარწმუნებული ვართ, ღია იქნება შენთვის სასუფევლის კარი და მუდამ ნათელში იქნები. განისვენე, ჩვენო ალა მასწავლებელო, მშვიდად და წყნარად, სადაც მართალნი განისვენებენ.

ოზურგეთის №2 საბავშვო ბაღი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

ზინა რუსიძე

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება ამაგდარის, განათლების (ყოფილი) საფინანსო დარგის ხელმძღვანელის, სანიმუშო პროფესიონალის, საუკეთესო ადამიანის, ქალბატონი ზინა რუსიძის გარდაცვალებას.

ქალბატონი ზინა ათეული წლების მანძილზე უდიდესი პასუხისმგებლობით, საქმის ღრმა ცოდნით ემსახურებოდა განათლების სისტემაში დაქვემდებარებულ დაწესებულებას. იყო ახალგაზრდა კოლეგების გულშემატკივარი. მან მთელი თავისი ცხოვრება დისშვილებისა და ძმისშვილების კეთილდღეობას მიუძღვნა, რითაც უდიდესი სითბო, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ღმერთმა მართალთა სასუფეველში ამყოფოს მისი ნათელი სული.

ოზურგეთის შრომის ბირჟა მზად არის მოგემსახუროთ შემდეგი კვალიფიციური მუშახელით: დურგლებით, სანტექნიკოსებით, საქალაქთაშორისო მძღოლებით, მეტალოპლასტიკის კარფანჯრების ხელოსნებით, მზით გამთბობი დანადგარის დამყენებელი სპეციალისტებით, მეთუნუქეებით, ელშემდუღებლებით, კაფელისა და მეთლახის დამგები ხელოსნებით, მეორადი კომპიუტერის შემქნის სერვისით, მიწის ყიდვა-გაყიდვის სპეციალისტებით სახლების დამლაგებლებითა და მომვლელებით და სხვ
შრომის ბირჟა მდებარეობს ოზურგეთის რკინიგზის სადგურის პირველ სართულზე
ტელ. 599 58 75 32; 557 77 21 21.

იყიდება
სოფელ თხინვალში კეთილმოწყობილი ორსართულიანი კაპიტალური სახლი. საკარმიდამო ნაკვეთში გაშენებულია სრულმოსავლიანი ციტრუსის ბაღი და თხილის პლანტაცია. დაგვიკავშირდით:
(568) 81 53 19; (574) 69 17 71.
(იკითხეთ გოჩა).

ლიტერატურული გურია

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი № 2, (5), თებერვალი, 2020წ

მზია ვაშალომიძე

დედის თვალები

თუმც შეეცვალა სახე, სხეული
წლებმა წარტაცეს მომხიბვლელობა,
უცვლელი დარჩა დედის თვალები,
მას ვერ შეეხო დროის მსვლელობა.

და როცა სული გაზივსებული
თრთის მომლოდინე დიდი ავდრების,
შესაყუდრებელ იმედად რჩება
მრავლისმეტყველი დედის თვალები.

მას არ სჭირდება სიტყვამრავლობა,
სანაცვლოდ შენგან არაფერს ითხოვს,
და ნუ გეშინით აავსო გული
მისთა თვალთაგან დაღვრილმა სითბომ.

წლები წლებს მისდევს, დადგა შუადღე,
ახლა შენ ხდები უკვე ბებია,
სანამ გაცილებს დედის თვალები,
გრძნობ, კვლავ ბავშვობა აგდევნებია.

ხელის კანკალით ანთებ კანდელებს,
ღვთისგან უდიდეს წყალობას ითხოვ,
დაგტოვოს ბავშვად და არ ჩაგიქროს
დედის თვალების უშრეტი სითბო.

ზემოდგომა

სიყვითლეგარეული შრიალებს ჭადრები,
მტევნების სურნელით უღვინოდ დავთვრები,
მეზობლის ეზოში გადაძვრა გოგრა
და მზეს, ვით ქურდმა, შესცინა მორცხვად.

ეშვება გიდლები, ივსება გოდრები,
მარანთან ჩარიგებულან, ვითარცა ლოთები,
ყურძნის დამაჭრებას, მაჭრის დაღვინებას
და მერე ავსებას უცდიან ქვევრები...

ოტია ტრაპაიძე



XXX

არა! – ეს დილა სხვა დილას არ ჰგავს,
სახლში შემოდის სხვა შემართებით,
მზე ფანჯარაზე სიცოცხლეს ქარგავს,
ჩიტი ჭიკჭიკებს, რას ემართლები...

არა! – ეს დილა სხვა დილას არ ჰგავს,
აგერ, აქამდე ასე არ იყო,
განზომილება ეცვება საგნებს,
იქნებ, ღმერთმა ქნა – სხვა დრო დაიწყო.

თუმცა, დრო დროა, დრო წრეზე ბრუნავს,
ცუდი მაქვს მაინც მეტი ნახული,
წამიერია – ეძებ მომავალს,
ნახავ და უკვე არის წარსული.

არა! – ეს დილა სხვა დილას არ ჰგავს,
ოცნების ფერი ბრწყინავს ცისკარი,
ჩიტი ჭიკჭიკებს, ჩიტმა სხვა რა ქნას,
ჩიტო-ჩიორა, ოქროს ნისკარტი.

XXX

რაც თავი მახსოვს, სიტყვას ვაღმერთებ,
ლექსი და საქმე ჩემთვის ერთია,
თუ ჩემი ლექსით ხარობს სამშობლო,
მაშინ სიკვდილი არ მიწერია.
ყოველ სტრიქონში გულის ნაწილს ვდებ,
ყოველი ლექსი ჩემთვის სუნთქვაა,
და როცა ლექსს ვწერ, წონა არა მაქვს,
ცა რო ცა არი – უფრო სუფთაა.
რაც თავი მახსოვს, სიტყვას ვაღმერთებ,
ლექსი და საქმე ჩემთვის ერთია,
თუ ჩემი ლექსით ხარობს სამშობლო,
მაშინ სიკვდილი არ მიწერია.

XXX

მე ამ ლექსებს სურებში ვწერ,
ვხედავ ნაცნობ ეფემერას,
კოკოციდან მონაქროლი
სიო ფანჯრებს ეფერება.

მინდა, ცისკარს შეეგებოს
ჩემი ლექსი – საოცრება,
საქართველო! – არასოდეს
არ მქონია სხვა ოცნება.

სტუმარი

გენრი დოლიძე

დედის საყურე

ნოდარ დუმბაძე ბრწყინვალე ქართველი მწერალიაო – ამბობენ კოლეგები – ივი უდავოდ ქართული მოვლენაა, დასძენენ და ამით ფსოუდან ალაზნამდე კეტავენ მის გეოგრაფიასა და მნიშვნელობას.

რაღაც დოზით მეც ვიზიარებდი აზრს, რომ გურული იუმორი და ეთნოგრაფია მთლად გასაგები ვერ იქნება გერმანელისთვის, რუსისთვის, ესპანელისათვის, არაბისთვის... თუმცა პირადი ისტორიიდან მინდა გავიხსენო შემთხვევა, რომელმაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ადამიანი და ადამიანური თემები უფრო აინტერესებს სამყაროს, ვიდრე გლობალური მძიმე-მძიმე პრობლემები და ფილოსოფიური კეკლუცობა.

2010 წელია, რუსთაველის პრემიის ლაურეატებთან ერთად ვიმყოფებით ისრაელში, რა თქმა უნდა მდინარე იორდანესაც ვეწვიეთ და განწმენდის რიტუალის შემდეგ იქვე მდგომ სავაჭრო ცენტრში მე და როინ აბუსელიძე ამაოდ ვათვალიერებთ ძვირიან საიუველირო ნაწარმს.

ერთი საყურე მომწონს დედისათვის, მაგრამ მთელი წლის ჰონორარი არ ჰყოფნის... არადა დედაჩემს როგორ გავახარებდი – ვეუბნები როინს, რომელსაც ვკერ კიდევ ახალდაქორწინებული ეთქმის და მეუღლისთვის ათვალიერებს ძვირფასეულობას, ისიც ამაოდ, რადგან ჩვენი ორივეს თანხა ერთად რომ შეაგროვო და გადაადნო ერთ სანთელს ვერ იყიდის (ძვირია ყველაფერი და ძვირია სანთელიც, ძვირია პურიც, წყალიც ძვირია, თავისთავად, ქვეყანაში სადაც უფალი ოცდაათ ვერცხლად გაიყიდა... აქ დაიბადა ფრაზა: „ქალაქში სადაც სანთელი ღირს უფალზე ძვირი...") ირგვლივ უამრავი ერის და ჯურის ხალხი ირევა, იტალიელი პადრე თავისი მრევლით, პორტუგალიელი პილიგრიმები, კანადელი ტურისტები, უკრაინელი მონაზვნები და კიდევ ისინი, ვისი ეროვნებაც ვერ დავადგინეთ.... მესამე წრეზე რომ მოვუბრუნდით „დედაჩემის საყურეს". უცებ, გამყიდველი ყოველგვარი მისალმების გარეშე აღფრთოვანებული გვეუბნება ინგლისურად – მე ვიცი თქვენი სამშობლო! – ამ დროს იტალიელებს მიაქვს იქაურობა... – უეჭველი ამათში ვეშლებით-მეთქი – როინს გადავულაპარაკე მერე რუსულად გვითხრა – თქვენ ჩემი საყვარელი მწერლის სამშობლოდან ხართო – თან გვიღიმის უკიდეგანოდ.

ეჭვიც არ მეპარება, რომ სესერეკელი რუსები ვგონივართ. უღიმღამოდ ვპასუხობ,

– კტო ვაშ ლიუბიმი პისატელ, დოსტოევსკი?

– ვი ვედ იზ გრუზია? – მოულოდნელი სიჩუმე...

„ალბათ რუსთაველი!" გავიფიქრე მე.

„იქნებ ვაჟა?" – ფიქრობს როი,

„ნუთუ აკაკი?!" – ვფიქრობ...

„ჯავახიშვილი!" – ფიქრობს როი...

„კონსტანტინე?" – გამიელვა თავში

– დეფი! – ჩაილაპარაკა როიმ და კოკისპირულ სიცილს ძლივს ვიკავებთ...

– ნოდარ დუმბადზე! –გვეუბნება თავდაჯერებული.

მე და როი ერთმანეთს ვუყურებთ აღტაცებულები, გახარებულები და ახლა იმას ვანგარიშობთ დუმბაძის რა ექნება ამ ვოგოს წაკითხული.

– ნავერნა, „ზაკონ ვეჩნოსტი"? – ვეკითხები მე...

– ნე – თავს აქნევს გაღიმებული იუველირი...

– „სოლნეჩნი ნოჩ"? – შემაშველა როინმა...

– ნეტ! „ია, ბაბუშკა, ილიკო ი ილარიონი". ეჭვის კლანჭებისგან გვიხსნა უცხოელმა, რომელიც ამ წინადადებიდან აღარ იყო უცხო... ის იყო ყველაზე ახლობელი მთელს დედამიწაზე, დედამიწაზე რომლის უზარმაზარი ბურთი მისი ბრილიანტის ბეჭდის ნასხლეტივით დაპატარავდა უცებ....

და გამახსენდა სესილია თაყაიშვილი სარეცელზე, და გამახსენდა ჩემი ოლღა ბებია, რომელიც საოცრად ჰგავდა ზურიკელას ოლღა ბებიას, და რომელიც საოცარი სიკვდილით მიიცვალა...

და გამახსენდა ფრაზა „მერე მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით"

და გაიზარდა ისევ დედამიწის ბურთი...

და მთელი სამყარო ვერ დაიტია „მთელმა სამყარომ".

– რა არის თქვენთვის ყველაზე საინტერესო ამ უცხო სოციუმში, ამ უცხო ქვეყნის ყოფაში, ამ უცხო კუთხის იუმორში და ხასიათში? – ეკითხება როი.

– ადამიანი და მისი ტკივილი. ბებია და შვილიშვილის ურთიერთობა არ შეიძლება იყოს უცხო მისთვის ვისაც ბებიასთან ერთი დღე მაინც გაუტარებია. აქ, ქრისტეს დედულეთში, ათასი ჯურის ადამიანი მოდის მოსალოცად, ღმერთი ერთია, მაგრამ ყველას თავისი უფალი ჰყავს. ყველას თავისებურად ესმის რწმენა, თუმცა მათ აერთიანებთ ქრისტე - თავისი ადამიანური ტკივილებითა და განცდებით. ამ პადრეს რომ წააკითხო ნოდარ დუმბაძე დარწმუნებით იტყვის, რომ ივი იტალიელია.

ამ დროს ჟანრის კანონი მოითხოვდა რამე დიდი და საკაცობრიო მეთქვა (გვეთქვა), თუმცა მექანიკურად, თითქოს ნოდარის მხოლოდ თანამემამულეობა გვეცოტავა, ყველაზე გულუბრყვილო და უადგილო რამ წამომცდა „მი ტოჟე გრუზინსკიე პისაწელი". გაუკვირდა, ცოცხალი მწერალი, მით უფრო, ქართველი მწერალი არასოდეს ენახა. შევატყვე ეჭვის თვალით გვიყურებდა, ეგონა ვატყუებდით. უცებ, ჩემდა ბედად ჯანსუღ ჩარკვიანმა ჩამოიარა, მოკიდე ხელი და მოვიყვანე – ვოტ ონ, ბლისკი დრუგ სამავო დუმბადზე, პოეტ, ჯანსუღ ჩარკვიანი! – მტკიცებულება დამაჯერებელი აღმოჩნდა...

მერე ემოციებისგან აღარ მახსოვს რაზე ვისაუბრეთ... მახსოვს, მეორე დღეს ბედნიერი ვიჯექი თვითმფრინავის სალონში, და დედისთვის მომქონდა ძვირფასი საყურის გამყიდველისგან საინტერესო და საყურეზე გაცილებით ძვირფასი ამბავი, საკაცობრიო მწერალ ნოდარ დუმბაძეზე. ილუმინატორში დედამიწა ნელნელა პატარავდებოდა იუველირის ბრილიანტის ნასხლეტივით, გულში კი იზრდებოდა პატარა გურული ბიჭი, რომელიც თავისი ადამიანობით, უბრალოებით და გულწრფელი ტკივილით მთელ დედამიწას შემოევლო ეკვატორად. მოვფრინავდი ადამიანი-ღმერთის სამშობლოდან ადამიანი-მზის სამშობლოში და სიტყვა „ადამიანი" გაცილებით ძვირფასი იყო ჩემთვის, ვიდრე, ოდესმე. ვუყურებდი დაპატარავებულ ბურთს, რომელსაც არც საზღვრები ქსელავდა, არც მავთულხლართები და არც ღობეები, ივი იყო ერთიანი, როგორც არასდროს - სახელად „მთელი სამყარო ჩვენ ვართ"!

ესეც ესსე

ლალი ბერძენიშვილი

ჩემი წითელი ფეხსაცმელები

გამოშვების საღამოსთვის მიყიდეს. გერმანული იყო, "გაბორი". შიფონის ულამაზეს წითელ კაბასთან ერთად მეცვა. ამ კაბას თითქოს, ფუნჯით სხვადასხვა ფერის მონასმები ჰქონდა ალაგ-ალაგ...შევინახე, როცა სტუდენტი გავხდი, რადგან ჯინსი და მაისური გახდა ჩემი ტანისამოსი.

86 წლი იყო და საბჭოთა კავშირი რყევას იწყებდა. უნივერსიტეტი ღელავდა, პატარა შეკრებები და მანიფესტაციები იწყებოდა. ეკლესიაში სიარულიც მანიფესტი იყო და ბაქრაძის ლექციაზე დასწრებაც. ვითხოვდით რწმენის უფლებას, ვაპროტესტებდით ქართველი ახალგაზრდების ავღანეთში საბრძოლველად გაწვევას, მუდმივად დავდიოდით დავით გარეჯში და ეს მსვლელობები მონაცვლეობით პატრულირებას ჰგავდა. ექსკურსიებზე დავდიოდით ინგილოებთან, ზოგი სხალთაში ადიოდა მძიმე მარხვის დასაცავად და ზოგი უნივერსიტეტის ეზოში პატრიოტულ სიმღერებს ხმამაღლა მღეროდა...ზოგიც თხზავდა.

ნოემბრის შიმშილობაზე ნახევარი ჩემი კურსი შიმშილობდა. მეც იქ ვიყავი სხვა ჩემნაირ ათასობით ადამიანთან ერთად.

უკვე მუხტი ისე გაიზარდა, მეხი უნდა გავარდნილიყო.

8 აპრილს ჩემი ზენიტ 11-ით ფოტოებს ვიღებდი. თან მეგობარი მახლდა. ფირი გათავდა და სახლში ავედი გამოსაცვლელად. მეგობარს ფეხსაცმელები უჭერდა და ის წითელი ტყავის ფეხსაცმელები ჩავაცვი. სხვა ვერ მოირგო. ის აქციაზე დაბრუნდა. მე არ გამიშვეს.

გამთენიისას ტელეფონმა დარეკა.

გარეთ გავვარდი და მეგობარს საავადმყოფოებში ვეძებდი. თვითონ მიპოვა, ჩემი წითელი ფეხსაცმლის ცალი დამიბრუნა და ატირდა.

მე ჩავეხუტე და ვერ ვიტირე. ცხრა აპრილზე ცრემლი არ გადმომსვლია არასოდეს.

მხოლოდ მესამე დღეს, ეტყობა, უღიმილო და მდუმარე ქალაქს ვერ გავუძელით და ჩემი მეგობარი ბაქრაძის ქუჩის ასახვევში ამღერდა"იმავ მთაზე და ჰარულალოოოო....." ვიმღერეთ ყველამ და აღარ დავდუმდით.

რამ გამახსენა და, თურმე, რაც და რისთვისაც გავაკეთეთ, ახლა ყველაფერი უკუღმაა. პატრიოტული და ეროვნული სასაცილოა, რწმენა და მარხვა-საქილიკო, გარეჯის ამბავი მოგეხსენებათ და ინგილო ვიღას ახსოვს.

ახლა ყველას ტრენდი და ლუქი ახსოვს. ახლა სხვა, კლუბური ამბავია და ბლექ რუმების ვნებანი.

ჰოდა, ის გაბორის წითელი ტყავის ფეხსაცმელი იმ წლის ნეკერმანში იყო. ეს ისე, დასაკარგი მაშინაც გვქონდას ამბავში.

ადამიანმებმა სიცოცხლე რომ შეწირეს და არავინ გაბედოს, შემთხვევითი მსხვერპლი არავინ ყოფილა, ეს დიდი თემაა და სხვა დრამა.

მანანა ჯინჭარაძე

მასწავლების სახლამდე

ადრეც ვთქვი - 5-დან ერთი თუ შეგხვდება მასწავლების სახლი რომ იცის-მეთქი. როგორც კი პოლიციის აკადემიას იტყვი, ზედმეტი კომენტარის გარეშე გიქნევენ თავს და 7 ლარადაც გთანხმდებიან.

დავჯექი.

დროული კაცია, გაწკრიალებული მანქანით.

- აი, რატომ არიან ჩვენი პოლიციელები ასე კარგები დღეს, - იწყებს...

- პოლიციელები რა შუაშია(?!) - ვფიქრობ ჩემთვის.

- თქვენ მასწავლებელი ხართ ხომ? -

- დიახ. როგორ მივხვდით - გამოწვევა გადავზარდე დაინტერესებაში და ჩვენობითი ფორმა მოვირგე.

- ვიზუალზე, მოწესრიგებულობაზე, ხმის დიქციაზე, თავაზიანობაზე, თქვენს ლექსიკონზე.

- ლამაზად გამოიყურებით - მივიღე, როგორც მოცემულობა და ჩემთვის გავიფიქრე: აუ, რა ბედნიერებაა, როცა წონაზე არ გიმახვილებენ ყურადღებას და გაქებ-გადიდებენ.

ის-ის იყო რევანშისთვის შევიმართე და გამოვიხმე ლექსიკური მარაგები სიჭარმაგესა და დიდებულად გამოიყურებითს შორის, რომ ურთულესი კითხვა მაჯახა:

- ფილოსოფია ნასწავლი გაქვთ? -

ვატყობ, ხუმრობა და ღლიცინი არ გამომადგება - ისინი კი მასწავლიდნენ, მაგრამ მე არ ვსწავლობდი ... და ა.შ.

- დიახ - მოვსხლიტე, ჩემი აზრით, ყველაზე მშვიდობიანი და მოფარფატე ფრაზა.

- არსებობს ფორმის ფილოსოფია და შინაარსის ფილოსოფია. შინაარსის ფილოს-ოფია წვდება თქვენს ღირებულებებს, ზნეობას, მორალს, ხოლო ფორმის ფილოსოფია მიუთითებს თქვენ სილამაზეზე.

არაფერი იცი კაცმა,და თუ გინდა ქალმაც,ბედისწერა რას გიმზადებს. მაინც გმართებს, დილაობით, გადამეორება ზოგადი ფილოსოფიიდანაც (თუ ასეთი არსებობს, რასაკვირველია), რაღაცეების...

- ჩაგეხედა ამ დილით - ვამუნათებ საკუთარ თავს და ჭკვიანური „რეჩისთვის ვემზადები.

- თქვენ ლამაზიც ხართ და ღირებულებებიც გაგაჩნიათ.

- არ ჰგავს, აგი, შებმას, - დროული ადამიანია, რავა იკადრებს...

- მოსწავლეზე ყველაფერი მოქმედებს - ოჯახი, გარემო, მასწავლებელი ვინ ჰყავს - უფრო გასაგები ხდება ფორმა და შინაარსი.

- ამას წინათ გადაცემაში ის ... (გვარს ასახელებს) ჰყავდათ მიწვეული და კიდევ ის...(აქაც გვარს ასახელებს) - ქალიშვილობაზე საუბრობდნენ.

მეო, 15 წლის წინ მომიკვდა ქმარიო, - პირველმა თქვა, - და, თქვენ გგონიათ, უსექსოდ გადავშენდებოდიო? ნურას უკაცრავადო, - მყავდა ერთი, ორი, სამი... ექვსამდე რომ ავიდა, მეორემ გააჩერა - გეყოფა შენ ახლა, მე გავაგრ-ძელებო: ქალიშვილობას რა თავში ვიხლი, რად მინდაო, ან ვის სჭირდებაო... აი, ესაა, დღეს, ჩვენი ბავშვების გარემო - დაასრულა ჩემმა თანამგ-ზავრმა და თქვენ რა აზრის ხართო? - მკითხა.

- ახლა მომნათლავდა ფროიდი, როგორც იტყოდა ბე- თქვენ რა გვარი ბრძანდებით, ბატონო - დავდე ყველა დროის ყველაზე ოპტიმალური შეკითხვა.

- მაყაშვილი - მიპასუხა და ჩემ განწირულ შემოდგომის აზნაურობას წერტილი აქვე დაუსვა.

იტყვით ახლა, სად ნახულობ ამ თავადებსო, ფილოსოფოსებსო, ტაქსის მძღოლებსო... რა ვიცი, კი ვნახე და...

ვეტერანი ისეთ ფორმაშია, ნამდვილ შემოქმედს და პატრიოტს რომ ეკადრება

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის ყველაზე მხცოვან წევრს, ბატონ ჯემალ კეჭაყმაძეს წლეულს 80 წელი უსრულდება. უცნობმა შეიძლება გაიკვირვოს და თქვას, ტყუის ეს კაციო, მაგრამ ჩვენ, მისმა მეგობრებმა ხომ ვიცით, რომ ბატონი ჯემალი ტყუილს არ იკადრებს და რაოდენ სასიხარულოა, რომ რვა ათეულ წელს მიღწეული, მრავალმრივ ნიჭიერი პიროვნება ასე მხნედ გამოიყურება, მეტიც, ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს პროფესიულ საქმიანობაში როგორც კალამთან, ისე სცენაზე.

ბატონი ჯემალის პიესა „იყვნენ ასეთი ბიჭები, ანუ დედა არაფერ შუაშია“ ახალგაზრდა რეჟისორმა ვახტანგ ჩხარტიშვილმა, №2 სკოლის მოსწავლე მსახიობებთან ერთად, შარშან, ვეტერანთა დღეს გაასცენიურა. წარმოდგენა იმდენად რეზონანსული გამოდგა, რომ იგი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს თეატრალური ცხოვრებით დაინტერესებულ საზოგადოებაში.

აფხაზეთის თემა, ზოგადად, ყველაზე მტკივნეული თემაა და იქნება ჩვენთვის, თუნდაც ერთ მშვენიერ დღეს აფხაზთა და ქართველთა შერიგებას დაადგეს საშველი. პიესის ავტორი ამ საშინელი, ძმათამკვლელი ომის მონაწილეა და, ბუნებრივია, ამ ტკივილს ორმაგად განიცდის, რადგან მის თვალწინ რამდენიმე ისეთი ტრაგედია დატრიალებულა, რომლის კალმით აღწერა და სცენაზე გადატანა უძნელესი საქმეა.

რეჟისორმა ვახტანგ ჩხარტიშვილმა ახალ თეატრალურ წარმოდგენაში ჩართო დოკუმენტური კადრები, რომლის ინტერშუმებმა კიდევ უფრო დაძაბა და დინამიკური გახადა ისედაც უკომპრომისო სცენები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მსახიობები – ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც თავიანთი გარდასახვის საკმაოდ კარგი უნარით, იმპროვიზაციით, ბავშვური ემოციურობით, ტკივილის შეგრძნებითა და განცდით საინტერესო სახეებით გაამდიდრეს სპექტაკლი.

სპექტაკლის საერთო წარმატებაში, რასაკვირველია, გარკვეული როლი შეასრულა მაყურებელმაც, რომლითაც სავსე იყო დარბაზი და რომელმაც სპექტაკლის ბოლოს მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა სპექტაკლის შემქმნელი შემოქმედებითი ჯგუფი.

ემოციური და ამავე დროს სამართლიანი იყო ამ სპექტაკლის შესახებ თბილისიდან სტუმრად ჩამობრძანებული ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორის, გენერალ დავით იმნაძის კომენტარი:

„ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს არ არის მხოლოდ ახალგაზრდა თაობისთვის განკუთვნილი სპექტაკლი, ეს უნდა ნახოს სამივე თაობამ, ახლანდელმაც და იმათაც, მომავალში რომ მოგვევლინებიან. ბატონი ჯემალ კეჭაყმაძის ეს პიესა ერთ-ერთი



საუკეთესოა აფხაზეთის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან. ავტორი, როგორც ნამდვილ შემოქმედს და პატრიოტს ეკადრება, ისეთ ფორმაშია. რაც შეეხება სპექტაკლს, მე რომ თეატრმცოდნე ვიყო, მას უსათუოდ მაღალ შეფასებას მივცემდი. რამდენადაც ვიცი, ამ ახალგაზრდა რეჟისორისთვის ეს არ არის პირველი სპექტაკლი და როგორც მითხრეს, არც წინა სპექტაკლები დადგმები გამოსვლია ნაკლები. ქებას იმსახურებენ ეს ბავშვები – უკვე მსახიობები. კარგი იქნება თუ ამ სპექტაკლს ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც ნახავენ.“

აქვე გთავაზობთ ბატონი ჯემალ კეჭაყმაძის ლექსს, რომელიც მისი უბის წიგნაკიდან ამოვიწერეთ:

ოთხმოცი წლის მერე

ო, რა უცებ გაპარულა წლები,
ვეღარ ვარჩევ ნაირ-ნაირ ფერებს,
სიცოცხლესაც ეკარგება ფასი,
რაღად მინდა ოთხმოცი წლის მერე.?

კაცმა რომ თქვას, გული ისევ ტოკავს,
მოგონებებს ისევ მოვეფერე,
გამხნევება კი ვიგრძენი, მაგრამ
რაღად მინდა ოთხმოცი წლის მერე?

ეს ცხოვრება, რაც მეწერა დღემდე,
ერთი სუნთქვით უცებ დავამღერე,
სიჭაბუკე სიჭაბუკედ დარჩა,
მე რად მინდა ოთხმოცი წლის მერე?

სურვილები ისევ ღვივის გულში,
რომ ერთხელაც გადავევლო ველებს
და სამშობლოს შევახსენო თავი,
თუ შევძელი ოთხმოცი წლის მერე.

დღეიდან თუ სიკეთე ვერ ვთესე,
ჩემს ქვეყანას ვეღარ მოვეფერე,
მაშინ თხოვნა შემისრულე, ღმერთო,
ნუ მაცოცხლებ ოთხმოცი წლის მერე.

პოეზია

ჯემალ (დავით) დობორჯგინიძე



თებერვალია, თბილა

ჩიტის გალობა მაღვიძებს,
თებერვალია, თბილა,
საყვარელ დედებს გაფიცებთ,
ხოა ნანატრი დილა.

მიწა წყლით გაფუებულა,
ორთქლი და სუნი ასდის,
სითბოსგან გავბრუებულვარ,
მზემ ბეჭზე დამკრა თათი.

დავქორწინდები, ენძელავ,
რახან მიბოძე ხელი,
ვიქნები ასე დღეგრძელად
და აღვსებული ლხენით.

ჩიტის გამობა მაღვიძებს,
თებერვალია, თბილა,
საყვარელ დედებს გაფიცებთ,
ხოა ნანატრი დილა.

XXX

მივაღწევთ მიზანთან მყის თურმე,
არჩეულ სწორი გზით თუ ვივლით.
უებრო მუსიკა? – სიჩუმე,
უებრო პასუხი? – დუმილი.

XXX

მამულთან ტყუის ერი და ბერი,
ღამე წევს, როგორც შავი ბიზონი.
იუდას სინდისს ინატრებს ბევრი,
ისე მომრავლდნენ უსინდისონი.

XXX

ყველას არ ძალუძს ართქმა,
ნიჭია ჭირთა თმენა,
ჯობია გულმა გავთქვას,
ვიდრე ჭარტალა ენამ.

XXX

დავამსხვრიეთ ყველამ ჩანგი
მოგონილი მოტივებით,
შეგვრჩა სტვირის ერთი ჰანგი
წინაპართა მოტირებით.

XXX

ვკითხულობ რუსთველს, შექსპირს, ბლოკს კდემით,
ვუსმენ მოცარტს და გრიგს,
მე რომ ვიცოდე, როდის მოვკვდები,
დავიჭერ თადარიგს.

XXX

ყოფნის დაფიდან ჯერ ვერ გადამშლით,
ჯიუტი ვარ და ბედს ვეურჩები,
ოთხი შვილი მყავს, წყვილი ქალ-ვაჟი,
სხვამც შეუყენოს ციხეს ბურჯები.

ნინიკო მშვიდობაძე

ფუფალას საკითხავი

ფუფალა ქალო,
ამ გაზაფხულზეც გამოიტირე შენი
ბედდამწვარი სიყვარული...
საგულდაგულოდ გადამალე დარდი,
რომელიც თვალის უპეებთან გაგყუჩებია.
არავინ დაგინახოს ლოყაზე ღარად ჩამომდინარე ცრემლი -
სადაა შენი ფერუმარილიან
კიტრის ნათალი,
საცხი წაიცხე და მზესმიუშვირე სახე,
რომ ადამიანებს ერთი ჩიტირეკია ქალი ეგონო...
ქუსლებგადაბრეცილი ფეხსაცმელებით შემოიარე
სოფლისყ ველა ორღობე თუ შუკა და
ხანდახან,
შაკიკის ლოცვებიც წაუკითხე
ქმრების ბუზღუნისგან თავმობეზრებულ ქალებს.
ქოლგა გაშალე, ფუფალა,
მარადიულად 16 წლის გოგო,
გაშალე შენი დაგლეჯილი,
ფერადი ქოლგა
და სიმღერ-სიმღერ დაასრულე ცხოვრების
მთელი იწილო-ბიწილო.
ამ გაზაფხულზეც
მემილიონედ გამოიტირე,
გამოიგლოვე შენი გამოგონილი სიყვარული,
საკუთარი თავიც რომ დააჯერე მის არსებობაში.
ხშირად ისიც კი არ ვიცით,
ჩვენ ვართ თუ არა...
შენ კი,
რა ძალა გედგა ასეთი,
ნინორესაც რომ ნამდვილი ეგონა შენი შიოლა...
იარე,
სახე მზეს მიუშვირე,
ქოლგაც ატარ ედა ქუსლებდაბრეცილი
ფეხსაცმელებიც,
ფერუმარილიც წაისვი და
კიტრის ნათალიც,
იმღერე კიდეც:
ლა, ლა, ლა, ლა, ლა...
შენ ხომ ყველაფერს იხდენ და ყველაფერიც
გიხდება,
ოდესღაც შენც ხომ მიგავდი ბროწეულის მზისფერ ყვავილს,
ჩემო დღედანაცრებულო ქალბატონო,
მარადიულად 16 წლის სულმშვენიერო გოგო,
მახსოვრობაში მბჟუტავი კვარივით
შემორჩენილო სოფლის მშვენებავ,
ფუფალა ქალო,
გამოიტირე შენი ბედდამწვარი სიყვარული და
თვალის უპეებში მიმალული სევდით დაასრულე
ცხოვრების იწილო-ბიწილო...
შენ, ვისაც შიოლა კი არადა,
დამტირებელიც არა გყოლია.

თემურ მარშანიშვილი

ორგიის დროს ამოთქმული ლექსი

ბოლი ასდის გახურებულ ლულას,
ახალი წლის ცას ვესროლე თოფი,
ლექსის კალათს შევმატებ ერთ ქულას,
თუ გავმართე კუზიანი სტროფი.

საუკუნე მეოცე წელს ღუნავს,
ახალწასულს ვეღარ შველის როქი,
საახალწლო სუფრა ისე ბრუნავს,
რეტდასხმული, ფეხზე ძლივს დგას დოქი...

ბუხრის პირას თავჩაქინდრულ ბახუსს
კედლიდან თვალს უპაჭუნებს ჯოლი,
ბზის ჭინჭილა ყანწს ულახავს ნამუსს,
ვერა ხარო მაინც ჩემი ტოლი.

რცხილის შეშა არ აკარებს ალს მურს,
აქ მუგუზალს არ აუდის კომლი,
წუთის წინ რომ ცას ადენდა ალმურს,
თიხის ჯამში ჩაძირულა ხომლი...

ჰო, ბახუსი ვარსკვლავებსაც თრგუნავს,
არ უშველის მათაც გრძელი როქი,
სუფრა არა, ეს სამყარო ბრუნავს,
ფეხზე არ დგას არც კაცი, არც დოქი...

რა პეწი და რა ძალა აქვს კამურს,
ქალწულივით მათრობელა როა?!
გეყოფაო, – მუზა მიწევს ცალ ყურს, –
ლექსის წერის დამთავრების დროა!

ყური, თორემ მეც არ მქონდეს შველის,
ორღობეში ცხენმა გამკრა ფლოქვი,
ლექსს ორგია ნამდვილად არ შვენის,
ისიც მიკვირს, მთვრალმა აგი რო ვთქვი...

მიყვარს ლექსები ამ კაცის

ტარიელ ხარხელაურს

თუ არ მოხედა, გულგრილად
ფური ხარს გვერდს ვერ ჩაუვლის,
ვერც ვერვინ – ვერანაირად
ამოთქმულს ხარხელაურის.

მიყვარს ლექსები ამ კაცის,
სულში რომ ხალხებს შაურბის,
ბავჯაღლოს ფასი რომ ადევს
და არა მდარე შაურის.

მთიდან რომ მოექანება,
ბღავილით ბარებს დაუვლის,
ხინკლის ოხშივრით რომ გიქრობს
პირს გემოს მძაღე შაურმის.

უფალი მისცემს წყალობას,
გონებას არ გადაუღლის,
„ნაიალაღარ ხარს“ ძალუძს
გაწევა ლექსის ცხრა უღლის!

მერაბ ზაქარიაძე

წუხელ

{გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას!}

წუხელ ხატის წინ, ჩუმად, „ცრემლებად“
იღვრებოდა სანთელი.
მიაბოტებდა კოკისპირულში ვიღაც წვიმად
ქცეული!
რა ატირებდა სანთელს, სად მიდიოდა მგზავრი
ეული?
ვინ იცის? ეს მხოლოდ გულთამხილავისთვის
არის ნათელი!

გაზაფხული

ამირანთან ბრძოლაში დაქანცულან დევები!
თოვლ-ნაჟურს დასძღომიან, ეს ღარტყაფა
ხევები!
მწვანედ ასაფეთქებლად, გაბუსხულან ტყეები!
ცივ ღამეებს ჯაბნიან, მზით გამთბარი დღეები!
ნეტავ მე რა მახარებს? დრო გადის და
ვბერდები!

„ასე ტკბილად დამიბერდით!“

ტაატით დატოვეს ნიკამ და ეკამ ლიფტი.
მწვანე სანაპირო, ვეება ევკალიპტი.
ტყე-პარკში სხედან, მელოტი და თმა
„თოვლია“.
ისევ წარსულის გახსენება, ზღვა, თოლია!

ქართველი

ხოხობს შევსტყორცნით ისარს.
მკლავზე მიმინო გვაზის.
ვსვამთ სადიდებელს ღვთისას,
ღვინით - ნაჟურით ვაზის!

ნუ შედრკები ქართველო!

„ლეკვები“ კვლავ დაგეშე,
ფარ-ხმალი არ დაჰყარო!
საქართველოს გარეშე,
რა იქნება სამყარო?!

გადაძახილი წარსულში!

„ვაშლის“ ერთი ჩაკბეჩით, ისტორია დაიწყო!
ქალის ცნობისწადილმა შეგვიცვალა სამყარო!
ვნებამ ცოდვა, მადლი შვა, ღვთის საწონს, რომ აირწყო!
კაენ დადექ! გონს მოდი! ძმის სისხლი არ დაღვარო!

27.09.2019წ.

„ფურთხის ღირსი ხარ შენ ...!“

ტვინს დაუბნელებს, იგი, ღვთის მგმობი:
ზოგს ქონდრისკაცს და ზოგს კიდევ ახმახს.
ადგება, წავა, ის ტვინნაღრძობი,
და წიწამურში გამოჰკრავს ჩახმახს!

პედაგოგი, პოეტი, პროზაიკოსი

ლანჩხუთში რომ ვინმემ შეგაჩეროს და გკითხოს – ვინ იყო ცისანა ბუცურეიშვილი, თუ ვერ უპასუხე, გეტყვის, არ ყოფილხარ შენ ლანჩხუთელიო. იმის თქმა მინდა, რომ ლანჩხუთში ყველა იცნობდა და ყველას ახსოვს სოფელ შუხუთში დაბადებული და აღზრდილი ქალბატონი ცისანა ბუცურეიშილი-ურუშაძისა, რომელმაც ,როგორც პედაგოგმა და კარგმა კალმოსანმა, დიდი ღვაწლი დასდო მშობლიურ რაიონს. ქალბატონი ცისანას სადარი პედაგოგები მაშინაც თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ და დღესაც ასე არიან მთელ ქვეყანაში. რაც შეეხება მის შემოქმედებას, ბოლომდე არ იცნობს მკითხველი, რასაც იცნობს, იმისთვის კი მადლიერია ამ უნიჭიერესი ქალბატონისა.

მახსოვს, რა სიყვარულით მიიღო მკითხველმა ქალბატონი ცისანას პირველი კრებული. მაშინ „აბდიალა“ ლანჩხუთელი პოეზიის მოყვარულები-სთვისეს ერგვარ სამაგიდო წიგნადაც კი იქცა. დღესაც არ არის მკითხველი მისი შემოქმედებისადმი გულგრილი. ბევრი ზეპირად გეტყვის მის ლექსებს „მუზების ღმერთო“, „სიკეთე მოვა“, „ჩემს სოფელს“, „სიკეთე ვთესოთ“ და სხვ.

ჩემთვის, როგორც ქალბატონი ციალას პოეზიის თაყვანისმცემლისთვის განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი ლექსი „მამაო“:

„მამაო, გახსენ ტაძრის კარები,
ლოცვად მოგვიხმობს ცისკრის ზარები,
ვინძლო დაჭრილ გულს მოესალბუნო,
მეც ანგელოზებს გავესაუბრო;
რომ ცოდვილთ მოსულთ ცოდვის ცდუნება აგვშორებოდეს,
სიყვარულს რწმენა, სათნოება არ განშორებოდეს.
დაე, ამ წუთისოფელში ტკბილად გვეცხოვროს,
ლაღად გველხინოს,
ღვთისმშობლის მხარე – ჩვენი ქვეყანა
ღვთისმშობლიურად გადაგვერჩინოს.
კამკამებს ზეცა, ჩვენ გვჯერა უფლის,
ჭაბუკად რჩება სამყაროს გული,
მამაო, გახსენ ტაძრის კარები,
მოვედით ლოცვის ალამდარები“.

ლექსებთან ერთად, ლანჩხუთის რაიონულ გაზეთში იბეჭდებოდა მისი პროზაული ნაწარმოებებიც რომელიც ლანჩხუთის პერიოდული გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა. გაჩნდა იდეა, რომ მისი რომანი ,,ტელეფონით ნაპოვნი სიყვარული“ წიგნად გამოცემულიყო, ასეც მოხდა. რომანში მოთხრობილი ამბავი რეალური ცხოვრებიდან არის აღებული. რომანთნ ერტად ამ წიგნში ავტორის საუკეთესო ცხრა ლექსიცაა დაბეჭდილი.

სამწუხაროდ, ქალბატონი ცისანა დღეს ჩვენთან აღარ არის, ზეციურ სასუფეველთან ოცნებობს, რომ საქართველოში სილამაზე, სიხარული და სიყვარული ზეიმობდეს, საქართველო გამთლიანდეს და ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს თავის წილხვედრ ქვეყანას.

ცისანა ჩხაიძე-ჯაში.

ანასტასია (რუსუდან) კალანდაძე

ლურჯი თოვლი

სულს სწყუროდა სიგიჟემდე ლურჯი თოვლი
და ლურჯ თოვლში გაბნეული ზამბახები.
გზააბნეულ კვირტებს ჰგავდა გაზაფხული
ისე, როგორც ია – თოვლში ნაზამთრები.

დაუბერა, ლურჯმა სიომ დაუბერა
და ზამბახთა სურნელებამ გამაღვიძა.

თარგმანები

სერგეი ესენინი

შაგანე

ეს შეშლილი ქარი ჰკოცნის კვირტებს,
სიყვარულო, რატომ დამღალეო.
მე კი ცრემლით თვით ტირიფად ვიქეცი,
შაგანეო, ჩემო შაგანეო.

თუკი დავთმობ, დამიტოვე რაღაც,
რომ სახსოვრად გულზე დავიკიდო.
ქარი ცრემლებს ისეც გულზე მაყრის,
ჩემი ტრფობა როგორ დაგიმტკიცო.

არვინ იცის, გათენდება ხვალ კი?!
ამ ტანჯვაში როგორ გავათენო?
არ დამტოვო, მომეხვიე მაგრად,
შაგანეო, ჩემო შაგანეო.

კვლავ შევახოთ ბაგენი ბაგეებს,
ბნელი ღამე თრობით გავანელოთ.
მომეხვიე, მომეხვიე მაგრად,
შაგანეო, ჩემო შაგანეო.

ჩვენც გავყვებით წუთისოფლის ბილიკს,
ახლა დარდით ნუღა ამავსებო.
კოცნით ლეწავს ქარი ატმის ყვავილს,
შაგანეო, ჩემო შაგანეო.

ალექსანდრე პუშკინი

ნოემბერი

მოვარდა ზამთრის ავყია ქარი,
კვლავ სიმარტოვე, სიცივე სველი.
კვლავ ფოთოლცვენა, რუხი ღრუბელი
და სულის სარკმელს ასველებს ცრემლი.

არ ვიცი, როდის გამოიდარებს,
ან რა გაუძლებს მოწყენილ ზამთარს.
როგორც ფოთლები... ცვივიან დღენი
და ბუხრის პირას ჰყვებიან ზღაპარს.

რუხ დღეებს რუხი მოჰყვება სევდა,
ეჰ, თუ ვერ შევხვდი გაზაფხულს კართან.
მემშვიდობება წეროთა გუნდი
და ნოემბერი დგას ფანჯარასთან.

ფოლკლორი

რუსუდან ბერიშვილი

ლექსი ალმასხან ბედინეიშვილზე, რომელმაც თავისი ბატონი ზურაბ ერისთავი მოკლა

(ჩაწერილია 1964 წლის თებერვალში, შუა სურებში იონა ელიზბარის ძე ბერიშვილისაგან, – მაშინ იყო 96 წლის)

წყავის შეშით გამომცხვარი ღადრის კვერზე, კუპატსა და კეჟერაზე დაყოლებული ალმასხანის ლექსი

იმ საღამოს ხმას დაუწია სუფლის გაღმა-გამოღმიდან გამოვარდნილმა, ერთმანეთს ხეთქებულმა ბუქმა. მამლის პირველ ყივილამდე უნდა გადაიღოსო, დაგვაიმედა მამამ. დაწოლის წინ, თოვლში ჩაფლული სახლის წინა ფანჯრიდან, სიმწრით თვალმისაწვდომი ცის პატარა ნაჭერზე, მართლა გამოჩნდა ვარსკვლავი.

დილას, თხილამურებით და ნიჩბით სკოლაში მიმავალ მამას კვალში ჩავუდექი და დედო შარამდე ჩამოვყევი. მამა ზევით წავიდა, სკოლისაკენ, მე ქვევითკენ დავუყევი. ორი კილომეტრი არც იქნება იონა ბაბუას სახლამდე. იგი ნაფაცხვარის დასასრულს ცხოვრობს, დიდი ვანისა და შუა სურების საზღვარზე.

გაგრძელდა და გაგრძელდა გზა.

ვაი თუ ჭიშკარი არაა ამოთოვლილი.

არა! ყოფილან მეზობლები. სახლამდე თავისუფლად გაივლი. სახლის ირგვლივაც, ყველგან გაკვალულია გზები.

– იონა ბაბუა! – ვიძახი.

დუმილია.

– მარია ბებია! – ვუწევ ხმას.

არ ისმის პასუხი.

გზიდან გადანაყარ თოვლს სახლიდან ჩამონათოვლიც დამატებია და თეთრი ბარიკადები აღმართულა. არაფერი ჩანს.

ნაყარ თოვლზე ავედი, სახლის მეორე სართულის აივნამდე ავმაღლდი და რა ვნახე! სურებში ფეხადგმულს და გაზრდილს, თურმე აქაურობა არ მცოდნია! სუფსის გაღმა გამოღმა ნაპირები შეერთებულა და წყალი არსად ჩანს! გაოგნებულმა ხან ზევით, ხან ქვევით გავაყოლე თვალი „ნასუფსარს“. გაღმა ნაპირის კლდეებზე უზარმაზარი წყავის ხეები გადმოწოლილან, ვიწრო კალაპოტის გამოღმა მხარეს, დიდ ლოდებზე დაუდვიათ თავები და ჩასძინებიათ. შუაღამის ყინვა შემოპარულა, განუწყვეტლად მომფრინავი ფანტელები ფენა-ფენად გაუყინავს და განთიადამდე ხიდიც მზად ყოფილა.

დიდხანს ვიდექი და ვფიქრობდი, – სურებლების გარდა, კიდევ ვის უნახავს ასეთი ხიდი?

უნახავსო? უნახავს კი არა, და, თურმე, მთელი ზამთარი, გამარტებამდე, ასეთი ხიდით ედგათ სული საქონლის საკვებშემოკლებულ სურებლებს. ამ ხიდით გადიოდნენ სუფსის გაღმა წალდებით და ბაწრებით. წყავი, ძმერხლი, სურო და ბაძგი გამოჰქონდათ.

ნაბიჯების ხმამ დაბლა ჩამახედა. მარია ბებიას იღლიებში ამოჩრილი თიკნები მოჰყავდა, თან კვნესოდა.

– მეიცა, მარია ბებია, კარებს გაგიღებ!

– რომელი ხარ, ცა, შენ? მივუახლოვდი, შევცინე, კარები გავაღე. მარიამ თიკნები ბუხართან დაყარა.

ბუხარში შეშა აღარ იყო, მაგრამ ნაკვერჩხალი ვარვარებდა. ბუხრის წინ დაყრილი სველი თიკნები აღარ სუნთქავდნენ. შევწუხდი, მკვდრები მეგონა.

– როვა ძულე გიცანი, – ჯორკო ბუხრისკენ მომიჩოჩა და სული მოითქვა. საწოლი აჭრიალდა, იონა ბაბუამ საბნიდან ხელები ამოიღო და დვიროდან საწოლამდე დაშვებულ თოკს მოეჭიდა, წამოდგომა უნდოდა.

ხელები! დავრდომილი, მეათე ათეულს მიღწეული მოხუცის ხელები! რამხელა თითები და მკლავები, რამხელა ძალა და გონება! ეს ყველაფერი ლოგინში იწვა, თუმცა ჩვენმა ხანგრძლივმა საუბარმა იგი ისევ იმ ვაჟკაცად აქცია, ჩვენს ჯიშ-ჯილაგს სატრაბახოდ რომ ჰქონდა!

– მარია, მიდი ახლა შენებურათ!

მიხმარება მოვინდომე. მარია ბებიამ მკლავზე დაწყობილი შეშა შემოიტანა და ბუხრის გვერდზე დაყარა. მერე ცომი მოზილა ხის გობზე და ბუხართან დადგა.

მივხვდი, – ჭადის ცომსაც უნდა ნახევარი საათით მაინც გაჩერება, რომ ამოვიდეს, თუმცა, ეს მას გარეგნულად არ ეტყობა. იმ ერთ თავწამწვარ ნიგუზალსაც ჰქონდათავისი დანიშნულება.

მოვიდა დრო და მარია ბებიამ ნაკვერჩხალი ბუხრის კუთხეში მიახვეტა, პერწკალით გაწითლებული აგურები გადაწმინდა და სული შეუბერა ნაცრის ბოლო ნამცეცებს. კაი ხანს აგუნდავა ხელიდან ხელში ცომი, აგურებზე დადო, გააბრტყელა და კიდეები შემოუსწორა, ნიგუზალიც ხელიდან ხელში გადაჰქონდა. გაღვივდა ცეცხლი ნიგუზალზე. კაი ხანს აშრობდა ამ ნიგუზალით კვერს, მერე საღადრიეთ ცხელი ღადარა დაუყარა, მერე გრილი ნაცარი დაამატა, ბოლოს კი – ნაკვერჩხალი.

ალექსებულმა იონა ბაბუამ სული მოითქვა. მეც კალამი დავდე.

– რა ქენი, მარია, ჩააგდე კვერი?

– კი, ა, ახლა დავღადრე, აგი წუთია.

– როის იქნება ახლა მაი, მომიცინცილა გულზე.

– ამას მისი დროი აქ. ჩემს გამომცხვარ ღადრის კვერს გარეცხვა კი არ უნდა!

სულ აღარავის ახსოვდა და თურმე თიკნები გაშრენ და აბაკუნდნენ კიდეც. სანამ სველი იყვნენ, მეგონა, ძველი ფოთლები ჰქონდათ მოკრული ცხვირზე, ყურებსა და ფეხებზე. შავი ხალები ჰქონდათ. ლამაზად გაწყობილი ქათქათა ბეწვი ამ ყიამეთი ზამთრის ერთადერთი სამკაული იყო. ვიფიქრე, ალბათ, ღმერთმა უძღვნა მათ ისინი იმის ნიშნად, რომ თებერვალი ჰა და ჰა, მოდიოდა და არ შეშინდეთო. აგი ერთი ზამთარიც ხომ გალიეთ, საცხა ახლოს ჭიტინობს გაზაფხულიო.

კალამი და ფურცელი ავიღე.

– არსათ არ მეჩქარება, ბაბუა, მე! შენ ახლა გეშინია, მოკვტება იონე და ეგება მუასწრო ამ ამბების ჩაწერაო. მე რომ ამბები და ლექსი ვიცი, ბაბუა, იმდონი იგენს არ ეცოდინება, საცხა სწავლოფ შენ! აფერი არ მაქ მე ჯერ სასიკვტილო, ნუ გეშინია!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რედაქტორი: თემურ მარშანიშვილი
599 37 35 15
email: tem52@mail.ru

9 ათეული წელი, ცხოვრების წიგნის ფურცლებიდან და... გასაუბრება მთავარ პერსონაჟთან

ლამარა გოგიტიძე

კარი ღიმილიანმა ქალბატონმა გაგვიღო. თავის სამუშაო ოთახში შეგვიძღვა. წინასწარ ვიცოდი, დრომ 9 ათეული წელი ჩაწერა მისი ცხოვრების საინტერესო წიგნში, წელთა მრავლობის მიუხედავად, რაოდენ სასიამოვნოა, როცა რესპონდენტზე საუბარი შეგიძლია ასეთი ფრაზით დაიწყო - სათნო ქალბატონი, შინაგანი დიდბუნებოვნებით, დახვეწილი მანე-რებით და თხრობის საოცარი მომხიბვლელობით.

ეს ქალბატონი ლამარა გოგიტიძე გახლავთ, პროფესიით პედაგოგი. 64 წელი იმუშავა მასწავლებლად, ასწავლიდა რუსულ ენას და ლიტერატურას, ამჟამინდელ მეოთხე საჯარო სკოლაში.

ბავშვობიდან დავიწყეთ. სახეზე წუთიერი გარინდება აღებეჭდა. თვალები შორეული წარსულის მოგონებებს გადასწვდა. ფიქრებში ნელი ნელ დაიხატა იმჟამინდელი კადრები. მიუხედავად გასული საუკუნის 30-იანი წლების გაჭირვებისა და მომდევნო წლების ომიანობისა, ბავშვობა ლამაზი გვქონდაო, იხსენებს.

–„გოგიტიძეების და ბურჭულაძეების შთამომავლობის ფუძე შემოქმედს (გომს) უკავშირდება. ბავშვობა ოზურგეთში, ჯაფარიძის ქუჩაზე (ამჟამინდელი 26 მაისის სახელობის ქუჩა)გავატარეთ. ერთად ვიზრდებოდით მე, ჩემი ძმები – ამირანი და ნუგზარი და კარის მეზობლები – რეზო და ლილი კოპალეიშვილები. თუმცა შევიცვალეთ საცხოვრებელი სახლი, მათთან ახლობლობა მერეც გავაგრძელეთ. მახსოვს ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალში დავდიოდით და დაჭრილებს ვეხმარებოდით წერილების დაწერასა და გაგზავნაში, ვუტარებდით მათ კონცერტებს. მთავარი ექიმი ქეთო მგელაძე იყო.

მამაჩემი, ლადიკო გოგიტიძე, რაიონის მთავარი ვეტექიმი იყო. ჩემი ძმებიც ამირანი და ნუგზარი მამის პროფესიას გაჰყვნენ.

ბაბუა ფოსტაში მუშაობდა. ბებია აფხაზი თავადის, მარღანიას ქალი იყო გუდაუთიდან.“

საინტერესო პერსონაჟი შემოიყვანა ქალბატონმა ლამარამ ბებიის სახით. მისი საუბრიდან ჩანს, რომ ბებიას, მატრონა მარღანიას, იმთავითვე დიდი გავლენა მოუხდენია შვილიშვილზე. იმ პერიოდში იგი ერთ-ერთი აქტიური, განათლებული ქალი ყოფილა და რომელსაც არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაუკეთებია ოზურგეთში.

– „ბებიას სახელს უკავშირდება ქალთა კლუბის დაფუძნება ოზურგეთში. უპატრონო ბავშვთა სახლი, რომლის ხელმძღვანელი თავად იყო. შემდეგ ის უმანკო ჭეიშვილმა შეცვალა.

მანვე შექმნა რუსული ენის შემსწავლელი წრე. საიდანაც გაჩენილა რუსული სკოლის დაარსების იდეა. ჩვენთან სახლში, ფინჯან ჩაიზე იკრიბებოდნენ. აქ შემოსული შემოწირულობების თანხით არსებობდა ეს კლუბი. შემდეგ მარიამ ბურჭულაძის დახმარებით გამოიყო თანხა და დაარსდა პირველი კლასი.

თანდათან გაიზარდა ბავშვთა და მასწავლებელთა რაოდენობა, რის გამოც გადავედით პირველი სკოლის ადრინდელ შენობაში.“

სკოლაში, თავდაპირველად, პიონერ ხელმძღვანელად დაუწყია მუშაობა ქალბატონ ლამარას. შემდეგ დაუმთავრებია ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებელი.. წლების შემდეგ, ამჟამინდელი მეოთხე საჯარო სკოლის მშენებლობის დასრულებიდან, ახალ სკოლაში გადმოსულან და 2014 წლამდე იქ უმუშავია. არის ღირსების ორდენოსანი, მიღებული აქვს წარჩინებული და დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

–„ახალ სკოლაში რუსულ ენას და ლიტერატურას ვასწავლიდი დაწყებითში, შემდეგ უფროს კლასებში.

არასოდეს გამიგდია ბავშვი გაკვეთილიდან, ხმის აწევაც არ მჭირდებოდა, საუბრით ვახერხებდი ბავშვების დაკავებას გაკვეთილზე. რუსულ ენასთან ტოლსტოის, პუშკინს, ლერმონტოვს, დოსტოევსკის ვაიგივებდი. ასე ვახერხებდი ბავშვების დაინტერესებას. დავდიოდით ოჯახებში და ვეცნობოდით, რა პირობებში უწევდათ ბავშვებს ცხოვრება. ეს ძალიან გვეხმარებოდა მათთან ურთიერთობაში. ზოგჯერ თვეები გადიოდა, ხელფასს ვერ ვიღებდით, მაგრამ პროფესიისთვის არ მიღალატია“.

№4 საჯარო სკოლის დირექტორი, **ტარიელ კალანდაძე:** - „ ქალბატონი ლამარა ოზურგეთის გამორჩეული, კოლორიტი პიროვნებაა. იგი რუსულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა რუსულ სკოლაში. იმავდროულად, სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს ასწავლიდა ქართული მიწის სიყვარულს, უღვივებდა მისადმი პატივისცემის გრძნობას. ის ჩვენი სკოლის ისტორიის ცოცხალი მემატიანეა. გამორჩეული მასწავლებელი, მეგობარი, დედა, მოქალაქე. იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებით თანამშრომლობს ჩვენთან. მადლობას ვუხდით ღვაწლისთვის და ვულოცავთ დაბადების დღეს“.

ლამარა გოგიტიძე, მატრონა მარღანია-გოგიტიძე, გიგა ხარაბაძე, 1952 წ.

ვარდებით გამხელილი მოწონება და ორი თვე სიყვარულამდე

როცა კითხვა ოჯახზე, მეუღლეზე დავუსვით, კვლავ სითბო ჩაეღვარა თვალებში, მერე სევდიანი ღიმილი აირეკლა სახემ. ჩვენს ისტორიაზე ერთი წიგნი დაიწერებაო, გვითხრა.

მისი მეუღლე გერმანე ხარაბაძე იყო. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, სატანკო ბრიგადის მეთაური, ბერლინამდე ბრძოლით მისული, სამხედრო ჩინით – კაპიტანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, მრავალი საბრძოლო ორდენის და მედლის მფლობელი.

–„სკოლაში ახალი მისული ვიყავი, ღონისძიებაზე სიტყვით გამოვედი თეატრში. 1950 წლის ნოემბერი იყო. იქ მნახა თურმე გერმანემ. ღონისძიების დასრულებამდე, მისი მეგობრის, გიორგი სალუქვაძის ეზოში დაუკრეფია ვარდები. გზად წამოსულს, უცხო ადამიანი დამხვდა, უეცრად ჩამიდო ყვავილები ხელში და მითხრა, ეს ვარდები თქვენ გამოგიგზავნესო. ყვავილები გადავყარე, სახლში მისულს, ყვავილები კიბესთან დამხვდა დაწყობილი. ბათუმში წავედი მატარებლით, იქაც დამემგზავრა, ზედმეტი საუბრით არ შევუწუხებივარ. თანდათან მომწონდა მისი თვისებები, მტკიცე ხასიათი. შემდეგ სახლში მოვიდა, საახალწლო სამზადისი გვქონდა. მამაჩემი ნახა. როგორც ჩანს მისი გულიც მოიგო. ორი თვეც არ იყო გასული, 25 თებერვალს დავქორწინდით, ჩემს დაბადების დღეზე. ასე მოვიდა სიყვარული“.

ოჯახს თავისი დრო სჭირდებოდა, სამსახურს თავისი. ორთავეს კარგად უნაცვლებდა ერთმანეთს. ორი შვილი გაზარდეს. გიგა და ვაჟა (ვლადიმერი). ორთავე უმაღლესი განათლებით. გიგა–-კავშირგაბმულობის ინჟინერი, ეკონომისტი, იყო ანასეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ნარუჯის მეურნეობის დირექტორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2 მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე. ამჟამად მუშაობს ფოთის ერთ-ერთი ტერმინალის უფროსად. მისი მეუღლე მაია ხელაძე, ცნობილი პიროვნებების, ომარ და ნანული ხელაძეების ქალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე და მუსიკის პედაგოგია.

ვაჟა ინჟინერ-ეკონომისტია. ხუთი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილ ჰყავს ქ-ნ ლამარას. უფროსი ნიკა ლონდონში ცხოვრობს და ბიზნესითაა დაკავებული. მაია – თბილისში, პროფესიით ექიმია. ირაკლი და ვაჟიკო სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე,. სანდრო – სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტია.

ლამარა გოგიტიძე

ლამარა გოგიტიძე და გერმანე ხარაბაძე შვილებთან ერთად

–„ჩემი დიდი სიხარული ჩემი ოჯახია, ამ სიხარულით მოვდივარ. მაბედნიერებს ოჯახის წევრთა სიყვარული და ურთიერთპატივისცემა. სწორედ ეს სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, მომავალ თაობებს და სკოლაშიც ამ კუთხით მეტი მუშაობა უნდა გაიწიოს, რადგან თუ, ოჯახიდან, სკოლიდან არ ისწავლეს ბავშვებმა სიყვარული და უფროს-უმცროსობის ვალდებულებები, შემდეგში ურთიერთობები ყოველთვის რთულდება.“

ბევრი საინტერესო ფაქტი მოვისმინეთ ჩვენი რესპონდენტისგან, რომელსაც საგაზეთო სტატიაში ვერ ჩავატევდი, აკი გვითხრა კიდეც თხრობის დასაწყისში. ერთი წიგნი დაიწერებაო. დიახ, ოჯახთა ისტორიების დიდი წიგნის საინტერესოდ საკითხავ ფურცლებზე, მართლაც მოიპოვეს ადგილი ჩვენი სტატიის პერსონაჟებმა.

დაბადების დღეს გილოცავთ ქალბატონო ლამარა, პირადად ავტორის, რედაქციის და იმ ადამიანთა სახელით, რომლებიც თავად გიცნობენ თქვენ, და თქვენი ოჯახის წევრებს. ჯანმრთელობას, სიკეთეს და სიხარულს გისურვებთ კვლავაც.

ნინო ნიკოლაიშვილი.

ლამარა გოგიტიძე აღსაზრდელებთან ერთად

ოზურგეთის სურათების გალერეაში ზამთრის ვერნისაჟი გაიმართა

ალიონი. 18 თებერვალს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში მეათედ გაიმართა მოსწავლეთა ზამთრის ვერნისაჟი, სადაც წარმოდგენილი იყო ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრები, ასევე წარმოდგენილი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიც.

როგორც ცენტრის დირექტორმა **ავთანდილ თავართქილაძემ** აღნიშნა, 2021წლიდან კონკურსი სხვაგვარად ჩატარდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლეები, გამოფენის გამართვამდე უშუალოდ ჟიურის თვალწინ შეასრულებენ საკონკურსო ნამუშევრებს, რაც გამორიცხავს მიკერძოებას.

საგამოფენო დარბაზში კონკურსის მონაწილეთა და მათი გულშემატკივრების სიმრავლე იყო.

ზამთრის ვერნისაჟის მონაწილეებს მიესალმნენ: გურიის გუბერნატორის მოადგილე **გია ებრალიძე,** ცნობილი მხატვარი **ვახტანგ მამეიშვილი,** ხელოვნებათმცოდნე **ლია ურაშაძე.**

გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. პრიზები და სხვა საჩუქრები კონკურსში გამარჯვებულებს გადასცენ სპონსორებმა: გურიის სამხარეო ადმინისტრაციამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ; გურიის მხატვართა კავშირმა; გურიის კულტურის ფონდმა; საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა ოზურგეთის ორგანიზაციამ; არასამთავრობო ორგანიზაციებმა: ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი; კომპანია „ასკანგელ ალიანსი“, „ჩემი მარკეტი,“სააქციო საზოგადოება „იმედი,“გურიის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძემ, ბიზნესმენები დავით შარაშიძემ, ისიდორე მეფარიშვილმა.

სპეციალური ჟიურის მიერ გამოვლენილი ბავშვები სხვადასხვა ნომინაციებში:

საჯარო სკოლები:

საუკეთესო კომპოზიცია - გიორგი მურცხვალაძე (მეხუთე საჯარო სკოლა);

საუკეთესო ნამუშევარი - გიორგი ჩხარტიშვილი (შემოქმედის საჯარო სკოლა);

საუკეთესო ხელნაკეთობა - მეგი ბერიძე (ნასაკირალის საჯარო სკოლა;)

საუკეთესო ხელნაკეთობა - ანანო გირკელიძე (ბოხვაურის საჯარო სკოლა);

ნორჩი შემომქმედი

ბარბარე ცენტერაძე (გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სამრევლო სკოლა);

ნიჭიერი - ლუკა რუსიეშვილი (მეოთხე საჯარო სკოლა).

სამხატვრო სკოლები:

საუკეთესო კომპოზიცია - მარიამ გუჯაბიძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ლუკა ფუტკარაძე (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა)

საუკეთესო ფერწერა

პაპუნა ჯინჭარაძე (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა);

საუკეთესო გრაფიკა

რევაზ კუპატაძე (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა);

საუკეთესო პლასტიკა

თამარ კილასონია (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა);

საუკეთესო დეკორაცია

მარიამ ჭყონია (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

გურიის კულტურის ფონდის რჩეული - მარიამ ჭყონია (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

მ. ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის რჩეული - გეგა არობელიძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ბიზნესმენი დავით შარაშიძის რჩეული - ლანა ღლონტი (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა);

გაბრიელ (გოგა) გოგოლაძე (მეხუთე საჯარო სკოლა)

შპს „ასკანგელ ალიანსის“ რჩეული - ქეთევან ირემაძე (ნასაკირალის საჯარო სკოლა);

ნია მიმინოშვილი (პირველი საჯარო სკოლა);

გიორგი შათირიშვილი (კვირიკეთის საჯარო სკოლა);

ლიზი დოლიძე (მესამე საჯარო სკოლა)

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის რჩეული - ლიზი პაქსაძე - ბახვის საჯარო სკოლა;

შპს პირველი სავაჭრო სახლიჩემი მარკეტის რჩეული - თორნიკე კვაჭანტირაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ნატალია ბოლქვაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ანასტასია კობიძე (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა);

შალვა ზედგინიძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის რჩეული

მარიამ ყალიჩავა (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

სააქციო საზოგადოება იმედი-ოლეგ გობრონიძის რჩეული - ნუცა მაისურაძე (ცხემლისხიდი საჯარო სკოლა);

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის რჩეული - ანასტასია კობიძე (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა);

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რჩეული - მარიამ ყალიჩავა (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ისიდორე მეფარიშვილის რჩეული - ლევან დარჩია (მეოთხე საჯარო სკოლა);

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გია ებრალიძის რჩეული - ნათია შევარდნაძე (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რჩეული - ლევან დარჩია (მეოთხე საჯარო სკოლა);

საბა ქარჩავა (მეოთხე საჯარო სკოლა);

ელენე გაგუა (გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სამრევლო სკოლა);

ანა მხეიძე (მერიის საჯარო სკოლა);

გიორგი ბოლქვაძე (მესამე საჯარო სკოლა).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რჩეული - ნატა ვაშაყმაძე (ლიხაურის საჯარო სკოლა);

ელენე მუჯირი (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა);

ანა პაიჭაძე (ნასაკირალი საჯარო სკოლა).

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის რჩეული - მამუკა კალანდარიშვილი (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა)

ნანა კვინტრაძე (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა)

ხელოვანი მძღოლი და „მომღერალი ტრაილერი“



ეს სურათი გასულ ხუთშაბათს, 20 თებერვალს გადავიღეთ, ზუსტად იმ დროს, როდესაც შვილიშვილს, კობა (კობუნა) ბაქნიძეს ბაბუა დიმიტრი (დიმა) ბაქნიძე ბაქოს მორიგ რეისში აცილებდა. შვილიშვილისა რა ვითხრათ, ახალბედა და ახალგაზრდაა, 1 მარტს 22 წლისა გახდება, ბაბუას კი „ალიონის“ მკითხველთან განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება – გურული ყბისაქცევების დიდოსტატი, ოემორისტი, ანსამბლ „იადონის“ მომღერალი, ერთი სიტყვით, ტიპური გურული, რომელიც ბოლომდე იზიარებს ჰერცენის აზრს, რომ „სიცილი – ეს სერიოზული საქმეა“. ისიც, ყველა ადამიანური ღირსებით შემკული, „ღირსების მედალოსანი“ პიროვნება, იცინის, გვაცინებს და კარგ განწყობას გვიქმნის.

კობუნა დიმას პირველი ბადიშია და, რასაკვირველია, ბაბუს იდეალია.

„იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი შვილიშვილია, მაგრამ ბაბუს ეს პირველი სიხარული განსაკუთრებული ბავშვი იყო. პატარაობიდანვე მანქანები უყვარდა, განსაკუთრებით ტრაილერები. როცა კომპიუტერი ათვისა და ინტერნეტში შესვლა ისწავლა, კომპიუტერულ სამანქანო თამაშებში ტრაილერით ისეთ ტრიუკებს გააკეთებდა, იფიქრებდით, მანქანა კი არა, მოლიანად კომპიუტერი დაიფშვნება და არც პატრონს დადგება კარგი დღე, მაგრამ გამოსავალს მაინც პოულობდა. ჯერ ბავშვობის გატაცება მეგონა, მაგრამ როცა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა სწავლის გაგრძელება აღარ ისურვა იმ მოტივით, რომ ტრაილერი ერჩია, მივხვდი, რომ იგი ამ საქმისთვის იყო დაბადებული დაბადებული“, – გვითხრა დიმამ.

ერთი წელია, რაც ტრაილერზე ზის და წარმატებით ასრულებს რეისებს თურქეთის, აზერბაიჯანისა თუ სომხეთის მიმართულებით.

რა გასაკვირია, რომ ბაბუს გენი შვილიშვილში მძლავრობს – ბუნებით ხელოვანია, ცეკვავდა დუნდუას ანსამბლში, მღეროდა იური ჩიხლაძის ხალხურ მუსიკალურ საკრავთა გუნდში, არის ანსამბლ „იადონის“ საპატიო წევრი, ბაბუს დაჰყვებოდა ყველგან კონცერტებზე. ვირტუოზულად ფლობს ფანდურს, ჩონგურს, გიტარას, ჭიბონს... ყველა ეს მუსიკალური ინსტრუმენტი ტრაილერის კაბინაში უდევს და შორეული რეისების შესრულების დროს, შესვენებისას, „მინიკონცერტებს მართავს“ ხოლმე, თითქოს თავისთვის, მაგრამ, როცა დაიწყებს, მაყურებელი დაბარებულივით მოდის.

ერთხელ, აზერბაიჯანში მიმავალი, პატრულს გაუჩერებია გზაში. ყოველი შემთხვევისთვის, კაბინა შეუმოწმებიათ, ფანდური, ჩონგური და გიტარა უცნიათ, მაგრამ ჭიბონს ვერაფერი გაუგეს თურმე. კობუნასაც აუღია და ისეთი შეუბერია, სულ „ბრავოს“ ძახილით გაუტარებიათ მუსიკალური ტრიუკების მოყვარული ტრაილერისტი.

კობას მანქანას კოლეგა მძღოლები „მუსიკალურ ტრაილერს“ ეძახიან.

მალე თბილისში პროფესიონალი მძღოლების გადასამზადებელი კურსები იწყება, რომელსაც უცხოელი სპეციალისტები ჩაატარებენ. კობუნა აუცილებლად გაივლის ამ კურსებს, სერთიფიცირებული მძღოლი გახდება და უფრო შორეულ რეისებს განახორციელებს ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

მანამდე კი, ამ მომცრო წერილით ბაბუამ შვილიშვილს ორიგინალურად მიულოცა დამდეგი დაბადების დღე. „ალიონი“ უერთდება ამ მილოცვას და შემდგომ წარმატებებს ულოცავს კობა ბაქნიძეს.

სამოქალაქო განათლება სკოლებში: „მომავლის თაობა“

14 თებერვალს, „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ ორგანიზებით დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა სამოქალაქო განათლების პროგრამის, „მომავლის თაობა“ პარტნიორი სკოლების მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტების შედეგების პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროგრამის ფარგლებში, 2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელებული საქმიანობები, საკლასო, საკლუბო და საგრანტო პროექტები. მოეწყო ფორუმ სპექტაკლი თემში კულტურული ძეგლების მანიშნებელი ბანერების არარსებობის პრობლემაზე. ასევე, მოხდა ტექნიკის კონკურსში გამარჯვებული სასკოლო სამოქალაქო კლუბებისა და პედაგოგების დაჯილდოება – ლეპტოპები გადაეცათ ცხემლისხიდის, ბაილეთისა და ვაკიჯვრის საჯარო სკოლებს, პლანშეტი კი ასკანის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგს თამარ ინწკირველს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +3+13	წვიმა 0 +5	მზე, ღრუბელი +2 +7	მზე, +3 +12	მზე, ღრუბელი +4 +17	წვიმა +4 +14	მზე, ღრუბელი +5 +15
24 თებერვალი ორშაბათი	25 თებერვალი სამშაბათი	26 თებერვალი ოთხშაბათი	27 თებერვალი ხუთშაბათი	28 თებერვალი პარასკევი	29 თებერვალი შაბათი	1 მარტი კვირა